ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.27/10/014

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 03 აპრილი 2013 წელი

ერთის მხრივ **გლდანის რაიონის გამგეობა** (შემდგომში **„შემსყიდველი“**), **წარმოდგენილი გამგებლის ნოდარ სანდუხაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „კანც პაპერი“** (შემდგომში **„მიმწოდებელი“**), წარმოდგენილი მისი **დირექტორის მერაბ იაკობაძის** სახით, ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 20² მუხლის, ''ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის №2045 განკარგულებისა და ''საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე, საბეჭდი ქაღალდის 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000010) (შემდგომში კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ღირებულება**

CPV კოდი 30197630

N	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულისფასი (ლარი)	საერთოფასი (ლარი)
1	A-4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი- copy&lazer; წარმოებული ქვეყანა ინდონეზია; 80 გრ; სისქე(UM)107; სითეთრე (CIE-155); გაუმჭვირვალობა- 95%; სიკაშკაშე- 95%; ზედაპირის ხაოიანობა ორივე მხრიდან (ML/MIN) 210;	შეკვრა (500 ფურცლიანი)	**600**	**5.41**	**3246,0**

3246,0 (სამიათასორასორმოცდაექვსი) ლარი (შემდგომში '' ხელშეკრულების ღირებულება'')

მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა თანმდევი მომსახურების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საგადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

2. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

2.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს: **გლდანის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი –ზესარიონ არველაძე**

3. **საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

3.1.**საქონლის მიწოდების ვადაა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2013 წლის 15 აპრილამდე მოთხოვნიდან 3 (სამი) დღეში.

3.2. **მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ №1ა–გამგეობის ადმინისტრაციული შენობა

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ

შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი დააკმაყოფილებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონელის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
5.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბუქდი ქაღალდის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველიორგანიზაციის მიერ ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად საქონლის მიწოდების შემდგომ, მიმწოდებლის მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღეში

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველ;ოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელმეშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება

პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,5%-ის ოდენობით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10(ათი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ე) ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. 16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს

18. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

18.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება ხელზე ან საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და ბაჟები

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 30 აპრილი.

21. სხვა პირობები

21.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

21.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.5. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს

21.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითააშედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა	**შპს "კანც პაპერი"**
მის: ქ. თბილისი სარაჯიშვილისქ. №1ა	მის: ქ. ბილისი , ჩოლოყაშვილის 2კვ. კ.1 ბ.41
ს/ კოდი **209466843**	ს/კოდი: **406058803**
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"	ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი **LBRTGE22**	ბანკის კოდი **UGEBGE22**
ა/ა **GE95LB0125152101627000**	ა/ა **GE07VT 6600 1122 3344 3602**
ტელ. **+995 32 2 318 980**	ტელ: **579 37 114 14; 577 11 21 40**
გამგებელი _____ **ნოდარ სანდუხაძე**	დირექტორი _____ **მერაბ იაკობიძე**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი 03 აპრილი 2013 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2013 წლის „03" აპრილის №10.27/10/014 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ: საბჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი

ნ. სანდუხაძე

ბ. არველაძე